აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
Academic Board of Akaki
Tsereteli State University

თამარ მეფის ქ. № 59
მის: 4600, საქართველო, ქუთაისი

ტელ: (+995 331) 4 21 73 ფაქსი (+995 331) 4 38 33
ელ.ფოსტა atsu@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აკადემიური საბჭო

4 სექტემბერი, 2018

დადგენილება №131(17/18)

„სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №111 (17/18) დადგენილებით დამტკიცებულ კრიტერიუმებში ცვლილებების შეტანის შესახებ

„სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის N 132/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების 47-ე მუხლის მე-3 პუნქტიდან გამომდინარე, აკადემიური საბჭო ადგენს:

1. **შევიდეს ცელილებები „სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის კონკურსის წესით შერჩევის კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 28 ივნისის №111 (17/18) დადგენილებით დამტკიცებულ კრიტერიუმებში და კრიტერიუმების მე-8 მუხლს დაემატოს შდეგი შინაარსის 8[1] პუნქტი:**

„8[1] იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო კომისია დააკმაყოფილებს კონკურსანტის განცხადებას, რის შედეგადაც რომელიმე ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსანტებს ექნებათ თანაბარი შეფასებები, აკადემიური საბჭო უფლებამოსილია დაამტკიცოს ახალი კომისია, რომლის წევრები შესაძლებელია იყოს როგორც საკონკურსო კომისიის, ასევე სააპელაციო კომისიის წევრები. აღნიშნულმა კომისიამ უნდა შეისწავლოს მითითებულ ვაკანტურ თანამდებობაზე ყველა კონკურსანტის მასალები და მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება თუ რომელ კონკურსანტებს გაუწევენ რეკომენდაციებს ვაკანტურ თანამდებობებზე. რეკომენტაციის გაცემისა და ამ პუნქტში მითითებულ ვაკანტურ თანამდეობებზე საბოლოო შედეგების დამტკიცების შემდეგ, კომისია წყვეტს საქმიანობას“.

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
უნივერსიტეტის რექტორი: პროფ. გიორგი ღავთაძე